



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030427079532317

04-302/ო

15 / მაისი / 2017 წ.

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 9 მარტის N121 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის“, „ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამით“ და „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით“ გათვალისწინებული ზოგიერთი კომპონენტის ფარგლებში გაფორმებული/გასაფორმებელი სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების შესრულების ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. საქართველოს მთავრობის 2017 წლის 9 მარტის №121 დადგენილებით დამტკიცებული სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2017 წლის სახელმწიფო პროგრამის „ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობის ქვეპროგრამით“ (დანართი 1.7.) და „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით“ (დანართი 1.6.) გათვალისწინებული ზოგიერთი კომპონენტის (დანართი 1.6.3. სმენის აპარატებით უზრუნველყოფის კომპონენტი; დანართი 1.6.4. კოხლეარული იმპლანტებით უზრუნველყოფის კომპონენტი; დანართი 1.6.5. ყავარჯნებით, ხელჯოხ-ყავარჯნებით, უსინათლოთა ხელჯოხებითა და გადასაადგილებელი ჩარჩოებით უზრუნველყოფის კომპონენტი) ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულებების ჯეროვან შესრულებაზე კონტროლის მიზნით, სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოში (შემდგომში-სააგენტო) შეიქმნას ინსპექტირების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- ა) ქეთევან პაპიძე - სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის სოციალური პროგრამების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
- ბ) დავით ჭანტურია - სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის სოციალური პროგრამების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი;
- გ) სოფიო კობახიძე - სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის სოციალური პროგრამების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით შექმნილმა ინსპექტირების ჯგუფმა განახორციელოს ბრძანების პირველ

პუნქტში მითითებულ სფეროში სააგენტოს სახელით გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებებით მიმწოდებლების მხრიდან ნაკისრი ვალდებულების ინსპექტირება ხელშეკრულებების მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს, საჭიროებების შესაბამისად.


3. კონტროლს ბრძანების შესრულებასა და ინსპექტირების ჯგუფის საქმიანობაზე განვახორციელებ პირადად.

4. სააგენტოს დირექტორის აპარატმა (ნ. ჩანადირი) უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე: ssa.gov.ge.

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს მთავრობის 2016 წლის თებერვლის N102 დადგენილებით დამტკიცებული, „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2016 წლის სახელმწიფო პროგრამის“ „ყრუთა კომუნიკაციის ქვეპროგრამით“ და „დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფის ქვეპროგრამით“ გათვალისწინებული ზოგიერთი კომპონენტის ფარგლებში გაფორმებული/გასაფორმებელი სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების შესრულების ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ“ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2016 წლის 5 მაისის N04-189/ო ბრძანება.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



ზაზა სოფრომაძე